

გენდერული ტრენინგი განათლების სფეროს პრაქტიკოსებისათვის

ტრენინგის დიზაინი

გენდერული ტრენინგის მიზანი

გენდერული ტრენინგის მიზანია, განათლების ეროვნული და რეგიონული დონის პრაქტიკოსების გენდერული ცნობიერებისა და მგრძობიარობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ტრენინგის მონაწილეების მიერ განათლების პროცესში არსებული გენდერული უთანასწორობის გააზრებას და ახალი საგანმანათლებლო სტრატეგიების შემუშავებას სასწავლო პროცესში გენდერული მიდგომების დანერგვისა და გენდერულად კორექტული სასკოლო გარემოს მისაღწევად.

ტრენინგის ხანგრძლიობა

ტრენინგი 3 დღიანია. თითოეული სატრენინგო დღე მოიცავს 7 სამუშაო საათს.

განათლების სფეროს პრაქტიკოსთა გენდერული ტრენინგის შინაარსობრივი სტრუქტურა

გენდერული ტრენინგი შინაარსობრივი თვალსაზრისით **სამნაწილიანია. პირველ ნაწილში** მონაწილეები გაეცნობიან ძირითად ცნებებს, რომელთა გარეშეც ძნელი იქნება განათლების სფეროს გენდერული თვალსაზრისით განხილვა.

კერძოდ, პირველ ნაწილში, მონაწილეები გაეცნობიან შემდეგ ძირითად ცნებების დეფინიციებს: გენდერი, გენდერული როლები და სტერეოტიპები, გენდერული თანასწორობა, შრომის გენდერული ასპექტები, გენდერული პოლიტიკები, გენდერული სტატისტიკა, გენდერული ანალიზი და გენდერის მენისტრიმინგი.

მეორე ნაწილი დაეთმობა განათლების სფეროს გენდერულ ანალიზს, პედაგოგიკაში გენდერული მიდგომის არსის გაცნობას, ცოდნის გადაცემას გენდერული სოციალიზაციის, სასწავლო პროცესის გენდერული ანალიზის ძირითადი მიმართულებისა და კონკრეტული ტექნიკების შესახებ, გენდერულად თანასწორი სასწავლო გარემოსა და სასწავლო მასალების შექმნისა და ზოგადად, გენდერულად თანასწორი განათლების სტრატეგიების და ტექნოლოგიების გაცნობას.

მესამე დასკვნითი ნაწილი დაეთმო მონაწილეთა მიერ სასწავლო პროცესში გენდერული მიდგომების დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების სკოლებში გენდერულად სენსიტიური გარემოს მიღწევის სპეციფიური სტრატეგიის განსაზღვრას.

ტრენინგის თემების სატრენინგო დღეებზე დეტალური გადანაწილების სქემა მოცემულია დღის წესრიგში.

ტრენინგის მეთოდოლოგია

ტრენინგი ინტერაქციულია და მისი მეთოდოლოგია ეყრდნობა გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლების კონცეფციას. ტრენინგის საკითხების განხილვა მოხდება პრინციპით: კონკრეტული გამოცდილება (თამაში, სავარჯიშო, ვიზუალიზაცია) – რეფლექსირება (გააზრება) – განზოგადება (შეჯამება, სასწავლო შედეგის გამოტანა) – გამოყენება (ახალი უნარით/ცოდნით ექსპერიმენტირება).

ტრენინგის როგორც პირველ, ისე მეორე ნაწილში საკითხების უკეთ გასაგებად გამოყენებული იქნება სავარჯიშოები, თვალსაჩინო მასალა, შემთხვევების შესწავლა, მუშაობა მცირე ჯგუფებში, ფასილიტირებული დისკუსია, სიმულაციები, პრეზენტაციები, ბრენშტორმინგი.

ტრენინგის მონაწილეებისათვის გადასაცემი მასალების სია

1. გენდერის ძირითადი ტერმინები, გენდერული პოლიტიკები, გენდერული ანალიზი და მენსტრიმინგი -
2. გენდერი და განათლება, მცირე ლექსიკონი
3. ქალები გადანყვეტილების მიღების ადგილებზე საქართველოში
4. საქართველოს გენდერული თანასწორობის კანონი
5. გენდერული უთანასწორობის ინდექსი .
6. ქალთა უფლებების საერთაშორისო კონვენცია
7. მასწავლებელთა გენდერული განწყობები და ქცევითი სტრატეგიები
8. გაკვეთილის გენდერული ანალიზის ინსტრუმენტი
9. სკოლის სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი
10. გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას -

სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი